ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია

29.04 .2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №11

მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს „მესტიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამები" დანართი №1-ის შესაბამისად.
2. აღნიშნული პროგრამის შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაცნობისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

დანართი

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა

(პროგრამული კოდი- 06 07)

1. **პროგრამის სახელწოდება:** ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა რომელიც ეხება-

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი---10 000 (ათი ათასი) ლარი.

3. პროგრამის დაფინანსების წყარო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ბიუჯეტი .

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური, სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

6. პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფა, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით მატერიალური დაფინანსების გაწევა.

7. პროგრამის შედეგები:

პროგრამის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

8 . დახმარების გაცემის წესი:

ფულადი დახმარების გაცემა და თანხის ჩარიცხვა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების პირად საბანკო ანგარიშზე.

9. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევა- თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.
2. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება- თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები.

11. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად: გარკვეუ წილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური ფონი, გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ასევე ხელი შეეწყობა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა.